ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/დ 396-16

"31" 03 2016 წ.

დადგენილება №001192
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

31.03.2016წ. ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჭაკვეტიამ განვიხილე 2015 წლის 25 თებერვლის №001192 მითითება და 2016 წლის 28 მარტის №001192 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 64"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №404890908, დირექტორი ლუარა ალშიბაია (პირადი №31001004572), მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №71) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) I-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №64, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი №2/14), ილ. ჭავჭავაძის გამზ. №66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი №2/18), ილ. ჭავჭავაძის გამზ. №66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი №2/19), ილ. ჭავჭავაძის გამზ. №66 (ნაკვეთი №2/24), ილ. ჭავჭავაძის გამზ. №66 (ნაკვეთი №2/25)-ში (საკ. კოდი №01.14.11.002.035) შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 64"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტის მიწისქვეშა ავტოსადგომების ("ა" ბლოკის) მშენებლობა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №595482 AR1115219 19.03.2013წ. (№1795556 AR1293166 20.03.2015წ.) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: -13.110 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია სხვადასხვა ზომის და ფორმის ტექნიკური ორმოები. -10.110, -7.110, -4.110 ნიშნულებზე სართულშუა გადახურვის ფილებში დამატებით მოწყობილია სხვადასხვა ზომის და ფორმის ღიობები. სართულებზე „12-17" და „ი-თ" მონაკვეთების გადაკვეთაზე პანდუსს გაზრდილი აქვს გაბარიტი. ასევე „9-11" და „ი-თ" მონაკვეთების გადაკვეთაზე არ არის მოწყობილი პანდუსი. „ი-ს" და „19-18" მონაკვეთების გადაკვეთაზე დამატებით მოწყობილია ორმარშიანი მონოლითური კიბე. კოლონებს გაზრდილი აქვს გაბარიტი, შეცვლილი მათი ფორმა, რაოდენობა და მონაცვლებული აქვთ ადგილმდებარეობა. გაზრდილია სართულშუა გადახურვის მონოლითური ფილების სისქე. შენობის შიგნით, სართულებზე შეცვლილია მონოლითური კედლების რაოდენობა. მონოლითურ კედლებში დამატებულია სხვადასხვა ზომის და ფორმის ღიობები. ლიფტების შახტის უჯრედებს მონაცვლებული აქვთ ადგილმდებარეობა. შეცვლილია შენობის ფორმა და გაბარიტი.

ქ. თბილისი 0160, ჯ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2015 წლის 25 თებერვალს შედგენილ იქნა მითითება №001192, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 25 (ოცდახუთი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2016 წლის 28 მარტს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001192, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა; მხარის №113239/07 30.03.2016წ. განცხადება, რომლითაც მხარე ეთანხმება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სედამხედველობის საქალაქო სამსახურის №001192 25.02.2016წ. მითითებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 64ა"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №64, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი №2/14), ილ. ჭავჭავაძის გამზ. №66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი №2/18), ილ. ჭავჭავაძის გამზ. №66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი №2/19), ილ. ჭავჭავაძის გამზ. №66 (ნაკვეთი №2/24), ილ. ჭავჭავაძის გამზ. №66 (ნაკვეთი №2/25)-ში (საკ. კოდი №01.14.11.002.035) შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 64ა"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტის მიწისქვეშა ავტოსადგომების ("ა" ბლოკის) მშენებლობა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №595482 AR1115219 19.03.2013წ. (№1795556 AR1293166 20.03.2015წ.) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 64ა" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 64ა"-ს დაევალოს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 64ა"-ს დაეკალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე

მ. ჯაყელი

საგადასახადო დავალება N 0
Payment Order N

თარიღი
Date 01/04/2016

რეფერენსი
Ref Num
414035210

გადამხდელი
Sender: შ.პ.ს. ჭავჭავაძის 64ა, 404890908, 404890908

გადამხდელის ანგარიში
Sender's Acc.: GE37BR0000010791667823

გადამხდელის ბანკი
Sender's Bank: ქ.თბილისი, სს ბანკი "რესპუბლიკა"

ბანკის კოდი
Bank Code: REPLGE22

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე

დასახელება
Sender: შ.პ.ს. ჭავჭავაძის 64ა, 404890908

საიდენტიფიკაციო კოდი
Sender's Tax Code: 404890908

მიმღები
Receiver: ხაზინის ერთიანი ანგარიში. (სხვა შემოსულობები/თვითმმართველი ქალაქი თბი

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი
Receiver's Acc.: 300773263

მიმღების ბანკი/ხაზინა
Receiver's Bank: ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა"

ბანკის კოდი
Bank Code: TRESGE22

გადახდის დანიშნულება
Operation Details: შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია
Additional Information: დადგენილება 001192 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

თანხა
Amount

4,000.00 GEL

თანხა სიტყვებით
Amount in words

ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი
Date
01/04/2016

ბანკში შემოსვლის თარიღი
Received
01/04/2016

ხელმომწერა Signature

ხელმოწერები:
Signatures:

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
PRINTED VIA INTERNET BANKING